Each new idea implemented by architects Givi Kobulia, Giorgi Kobulia, Vasil Kobulia results in a harmonious, exclusive space, expressing the current status of architectural culture through spontaneous, open structures, original geometry and unusual combinations of construction materials. In other words, their architecture is associated with the cultural phenomenon of modernity rather than with architectural laws. The merit of this design, created by these architects, lies in its relationship with the environment. Residential buildings are compact due to ingenious interconnection of main architectural groups. Original architectural composition integrates the design and draws attention to its visual lightness and graphical precision.

Constructional lightness of larger masses is reiterated by minor architectural elements. Special attention should be paid to their decorative compositions, forms, colors, etc. Varying patterns formed by lines and parallels merge into a harmonious design melody. Unique language of free sculptural plasticity, light, proportion, graphics of movement – there is nothing supernatural in this, but combination of these features with advanced technologies, modern construction materials and smart spatial solutions results in original architectural designs, still more valuable if they are realized with ingenuity and spirit.

NINO LAGHIDZE



მაღალი სტანდარტი და ესთეტიკური კრიტერიუმები



წელს, ზაფხულში, საქართველოს უნივერსიტეტის UG Kids / UG ბაღის სივრცე და ინტერიერი სრულიად განახლდა. საოცრად მოკლე დროში ბაღის მესვეურთა დაულაღავი შრომის შედეგად, თითქოს სპონტანურად, თითქმის თამაშით მოგონილი თემატური სცენარით ინტერიერის შინაარსობლივად შთამბეჭდავი ექსპოზიცია შეიქმნა, რომელიც შემინულ სიბრტყეებს მიღმა სრულიად იხსნება ულამაზეს შიდა ეზოში. სივრცის მთლიანობა ცალკეული მოდულური ელემენტებითაა გაჯერებული და მის ღია თუ დახურულ მონაკვეთებში თავისუფლად რაფინირებულ თითოეულ ნივთს მთელი სისავსით აღიქვამს. ბაღის პატარა ბინადართათვის ყოველი დეტალი „პიროვნულად“ იპყრობს ყურადღებას, იმიტომ, რომ აქ უსახურ აქსესუარს ადგილი არა აქვს. ნიუანსები ინდივიდუალურია, თავისებურად ეფექტურია და დეკორის ფერი, ფორმა, ფაქტურა საგნებს უტილიტარულ მნიშვნელობაზე უფრო ამაღლებულ, განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს...

მოცემული სივრცის ფორმულა ძალიან უბრალო იქნებოდა (რადგან მისი შემადგენელი, გარკვევით ახსნადი და გასაგებია), მასში რომ არ აღმოჩენილიყო ამ სილამაზის სულისჩამდგმელთა ტალანტისა და გემოვნების რაოდენობის განმსაზღვრელი უცნობი. უცნობი კი, როგორც ვიცით ცვალებადი სიდიდეა, ამიტომ შედეგი, თითოეულ მოცემულ შემთხვევაში წინასწარ განუსაზღვრელია და არა მარტო... აქ საოცარი წონასწორობაა სიმშვიდესა და მოძრაობას, ბუნებრივ



ელლა მაზმანოვა,
UG Kids / UG ბაღის ადმინისტრაციის უფროსი
Ella Mazmanova,
Head of UG Kids Administration
ელენე მარგალიტაძე,
UG სკოლის პიარ მენეჯერი
Elene Margalitadze,
UG School PR manager



ელებს. UG Kids / UG ბაღი კემბრიჯის (Cambridge International) რეგისტრირებული ცენტრია, რაც უფლებას აძლევს გამოიყენოს მათი პროგრამები ბავშვთა განათლება-აღზრდის პროცესში. კემბრიჯის პროგრამა 3 წლის ასაკიდან იწყება, პატარებთან მუშაობს ე.წ native speaker-ები, რაც იძლევა საშუალებას, რომ ბავშვებმა ინგლისური ენის კომპეტენცია მშობლიური ენის დონემდე აიყვანოს. ეს არის დამატებითი რესურსი, რომ ბავშვს განუვითარდეს უნარ-ჩვევები რომელიც მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების წინაპირობა იქნება.

ინტერიერი მოწყობილია პატარების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ნორმების მაქსიმალური დაცვით. UG Kids/UG ბაღი საქართველოში ერთადერთია რომელიც ალტურვილია შვედური წარმოების Camfil-ის ჰაერის გამწმენდი მოწყობილობით, ბიო ფილტრებით, რომელიც უზრუნველყოფს გარედან შემოსული ჰაერის გასუფთავებას.

საბავშვო ბაღში პატარებს ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური და სოციალური განვითარებისთვის შესაფერისი თბილი და კეთილგანწყობილი გარემო ხვდებათ, ბაღში ფუნქციონირებს შემეცნებით/განმავითარებელი სივრცე, რომე-

დახვენილ ფორმებსა და შექმნილ სილუეტებს შორის და მას საფუძვლად ესთეტიკური კრიტერიუმები უდევს.

მეტად, საამაყოა ის ფაქტი, რომ UG Kids / UG ბაღის ინტერიერის დეკორის განახლებაში შემოქმედებითად იყვნენ ჩართული საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის დეპარტამენტის სტუდენტები: მედეა სვანიძე, ნინო აბაშიძე, გიორგი ხარშილაძე.

UG Kids /UG ბაღის ცალკეული ინტერიერული მონაკვეთის დეკორის მოსაპირკეთებლად (ფილები, შპალერი და სხვ.) გამოყენებულია სარემონტო მასალების სავაჭრო ცენტრში - New Design-ში წარმოდგენილი ბრენდების პროდუქცია.

UG Kids / UG ბაღი 2011 წელს დაარსდა და მას შემდეგ ქალაქის სკოლამდელ დაწესებულებათა ვრცელ სიაში მონიწივე ადგილს იკავებს. ბაღი ორიენტირებულია საქართველოში სკოლამდელი განათლების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებაზე, ინოვაციური მიდგომების დანერგვაზე.

UG Kids /UG ბაღი პირველი საბავშვო ბაღია საქართველოში, რომელიც სწავლების ბრიტანულ პროგრამას ახორცი-





ლიც მონყობილია მარია მონტესორის მეთოდის პრინციპითა და შესაბამისი რესურსით. უტარდებათ სიმღერისა და ცეკვის, ხატვის, ძერვნის, კულინარიის გაკვეთილები, სპეციალურად შემუშავებული თამაშებით უვითარდებათ წერა-კითხვის, მეტყველების, უცხო ენის, მოსმენისა და მათემატიკურ-სივრცითი აზროვნების უნარები.

UG Kids/UG ბაღისთვის მნიშვნელოვანია ხარისხი, სწორედ ამიტომ მისი ყველა აღსაზრდელი მხოლოდ ნატურალური მასალისგან დამზადებული სათამაშოებით თამაშობს, კედლები ანტიალერგიული, სპეციალურად საბავშვო ოთახისთვის განკუთვნილი საღებავებითაა შეღებილი; ბავშვები ჯანსაღი, უმაღლესი ხარისხის პროდუქტებით იკვებებიან. მენიუში, რომელიც ექიმ-დიეტოლოგის რეკომენდაციებით მზადდება, დაცულია ბავშვის ჯანმრთელობისათვის საჭირო დღიური კალორიებისა რაოდენობა; ბაღის აღსაზრდელებს წელიწადში ორჯერ უტარდება ორთოპედიული გამოკვლევა.


UG Kids /UG ბაღის მუდმივი ფიქრის საგანი პატარებისთვის პოზიტიური განწყობის შექმნა და ფუნდამენტური უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების სწორ ფორმირებაა.



ფოტო: მერაბ გალაშვილი / საქართველოს უნივერსიტეტი / Photo by: Merab Galashvili / University of Georgia/



მედეა სვანიძე, Medea Svanidze



გიორგი ხარშილაძე, Giorgi Kharshiladze



ნინო აბაშიძე, Nino Abashidze



HIGH STANDARD AND AESTHETIC CRITERIA

This summer, the University of Georgia's UG Kids / UG Garden space and interior has been completely renewed. Students of Architecture and Interior Design Department of the School of Art and Humanities of the University of Georgia - Medea Svanidze, Nino Abashidze, Giorgi Kharshiladze - were actively involved in updating the interior decor of UG Kids / UG Garden.

UG Kids / UG Garden is the first kindergarten in Georgia, which carries out the British program of learning. The UG Kids / UG Garden is a Cambridge (Cambridge International) Registered Center, which allows the use of their programs in children's education-upbringing process. The Cambridge program begins at the age of three. The so-called native speakers are working with the kids, which allows children to bring the English language to the level of native language. Children eat healthy and high quality products. Children are given orthopedic examination twice a year. Quality is important to UG Kids.

თანამედროვე სკოლის ექსკლუზიური გარემო



ინტერიერის დიზაინის ავტორები: საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის დეპარტამენტის სტუდენტები: სოფიკო დანელია, ნინო აბაშიძე
 აღზრდილი მდივანი: საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, კოსტავას ქუჩა



ნინო აბაშიძე
Nino Abashidze



სოფიკო დანელია
Sophie Danelia

ზაფხულის პერიოდში, საქართველოს უნივერსიტეტში, ტრადიციულად სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა - მოპირკეთდა და განახლდა აუდიტორიები, ტერასები საკონფერენციო დარბაზი და სხვა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილი, წელს პირველად, საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის დეპარტამენტის სტუდენტებმა შეასრულეს, კერძოდ კი, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სასწავლო სივრცის ცალკეული მონაკვეთების ინტერიერის განახლებაზე იმუშავეს და საინტერესო დიზაინერული გადაწყვეტებით გაამრავალფეროვნეს არსებულ გარემო. სოციალურ


მეცნიერებათა სკოლის დირექტორის ქალბატონ ნათია კალაძის ხედვის გათვალისწინებით და პროფესიონალთა ხელმძღვანელობით სტუდენტებმა შემუშავებული თემატური სცენარით შთამბეჭდავი გარემო შექმნეს, რომლის კოლორიტი დიზაინერული „დეკორაციებით“, ცალკეული „მოდულური“ ელემენტებით, ტონალობათა ლავირებითაა შექმნილი. მთლიანობაში კი ავტორთა ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნას ექსკლუზიური გარემო - მშვიდი ესთეტიური ყოფისა და მაღალი კომფორტის გარანტი თანამედროვე სასწავლებლისთვის.



ფოტო: მერაბ გალაშვილი
/საქართველოს უნივერსიტეტი/
Photo by: Merab Galashvili / University of Georgia/



EXCLUSIVE ENVIRONMENT OF MODERN SCHOOL



AUTHORS OF INTERIOR'S DECORATING: Nino Abashidze, Sophie Daniela

LOCATION: University of Georgia, Kostava Street, Tbilisi

Presented interiors of The School of Social Sciences of University of Georgia has been designed. Students of Architecture and Interior Design Department of the School of Art and Humanities of the University of Georgia. The students took into consideration Ms. Natia Kaladze's vision (Dean of The School of Social Sciences of University of Georgia) and under the guidance of professionals they have created an interesting project.

In This interiors distribution and diversity of geometrical forms, reserved use of carefully picked and matched details, impressive compositional pattern reveal the taste and creative principles. Students created environment which evoke comfort and peace-personalized spaces where learning and work are equally pleasant.







NUMBER 13

ადგილმდებარეობა: თბილისი
ავტორი: ნინო ახვლედიანი



ლაუნჯ ბარი Number 13 დიდი ხანი არ არის, რაც გაიხსნა ახვლედიანის ქუჩაზე, მაგრამ უკვე საკმაოდ პოპულარული და პრესტიჟულია თბილისში. მისი ინტერიერი დიზაინერ ნინო ახვლედიანის პროექტით შეიქმნა. ავტორის მიერ გულდასმით იქნა შერჩეული სივრცის ფერი თი გამა, კედლების „ლიტერატურული“ დეკორი. ორიგინალური, ეფექტური ფურნიტურა უფრო მეტად „ამძაფრებს“ სივრცის სიმყუდროვეს, ...და რაც ყველაზე ნიშნელოვანია - განათების დიზაინი არა მარტო სილამაზითაა გამორჩეული, არამედ გარკვეულ მონაკვეთებზე ფუნქციონალურიცაა. სწორედ მათი საშუალებითაა ზონირებული სივრცე. დიზაინერული თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ბარის არქიტექტონიკა. რომანტიკული ლაუნჯ ბარი თბილისელებისთვის, გასართობად და დასასვენებლად, ერთ-ერთი სასურველი ადგილია.



NUMBER 13



Location: Tbilisi
Author: Nino Akhvlediani

Number 13 Lounge bar recently opened in Giorgi Akhvlediani Street in Tbilisi, quickly became a popular and fashionable spot. Its interior is designed by designer Nino Akhvlediani. The author focused their efforts on combining interior colors, creating "literary" decor of the walls and matching efficient furniture in order to create an especially comfortable space. Most interesting are original and highly practical light fixtures, serving both as decorations and zone markers.

Number 13 Lounge bar with its romantic atmosphere, is the best place for leisure and entertainment.

Number 13 Lounge bar boasts a stunning new interior by distinguished which takes sophistication to new heights, at least for Tbilisi. An outstanding combination of innovative cuisine, smooth atmosphere, high quality service and a terrific mix of relaxed lounge and club music makes this place one of the best new venues in town. Well worth your time.





ჰეფი სმაილის ესთეტიკა

ავტორი: ნინო გამცემლიძე
 მდებარეობა: თბილისი, ბურძგლას ქუჩა, საირმის მთა
 საერთო ფართი: 150 კვ.მ.



ნებისმიერი ინტერიერის დიზაინი იმისათვის იქმნება, რომ ადამიანმა იქ მყუდროდ და ჰარმონიულად იგრძნოს თავი. სტომატოლოგიური კლინიკის „ჰეფი სმაილის“ ორიგინალური ფუნქციონირება და ლამაზი საგნებით შექმნილი სივრცის ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებული ხიბლის მატარებელია. აქ განთავსებული ფუნქციონირება, განათებასთან და ფერთან სასიამოვნო სინქრონიზაცია, საოცარი წონასწორობაა სიმშვიდესა და მოძრაობას, დახვეწილ ფორმებსა და შექმნილ სილუეტებს შორის და თვალნათელი ხდება თავისუფალი ტიპის შემოქმედების შედეგი. ინტერიერს მისი დეკორატიული ელემენტების ერთობლიობა ამთლიანებს და დასამახსოვრებელ გამოხატველობას ანიჭებს. ფუნქციონირებისა და აქსესუარების დიზაინერული გადაწყვეტა, საერთო სივრცეში გადანაწილება, „ჰეფი სმაილის“ სტილის ესთეტიკას პასუხობს და მის კომფორტს განაპირობებს.

ავტორისებან: ინტერიერის დიზაინის გადაწყვეტილებისას, ძირითად მიზანს წარმოადგენდა შემექმნა გარემო, სადაც ბავშვებს არ ექნებოდათ შიშის განცდა, სადაც ისინი გაერთობოდნენ და ითამაშებდნენ, კიდევამას, მივალნიე ფერთა გამით - აქცენტი გაკეთდა თბილ ტონებზე და ასევე დიდი გასაფერადებელ პანო-ნახატზე, სადაც ბავშვები მშობლებთან ერთად, პატარა სახლებს გააფერადებენ.

საბოლოო ჯამში, საკმაოდ თბილი და სასიამოვნო სივრცე მივიღეთ, სადაც ბავშვები და მათი მშობლები სიამოვნებით მოდიან.





AESTHETIC OF HAPPY SMILE

AUTHOR: Nino Gamtsemidze
LOCATION: Burdzgla street, Tbilisi
AREA: 150 m²

Any interior is designed with the goal of making its visitors or inhabitants feel at ease. The refined design of Happy Smile clinic is highlighted by original furniture, quaint accessories. The design of this clinic with its colour solutions and accessories offers full harmony of serenity and liveliness, natural beauty and artificial decorations. The variety of forms, general rhythm of the volumes and decorative elements integrate the interior and endow it with special expressivity. Design of accessories and their distribution across the space correspond to the general aesthetic character of the interior.

NINO LAGHIDZE

კომფორტული გარემო მომხმარებლისთვის



ავტორები: ელენე ცკვიტინიძე,
თინათინ ჯანაშვილი. TH Studio
ადგილმდებარეობა: თბილისი
ფართი: 184.4კვ.მ

კომპანია „ენ-ჯი-ეს ჯგუფის„ ინტერიერული ექსპოზიციისთვის ეფექტური გეგმარებით, შთამბეჭდავი გარემო შეიქმნა, რომელიც open space - ს შეგრძნებას ბადებს. ხის და ლითონის ფაქტურა, რბილი ტონები, საინტერესო ფორმები და შუქჩრდილები, საერთო სტილისტურ გადანწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული დეკორი, ნივთები და ექსკლუზიური აქსესუარები უზადო გარემოს ქმნის. ინტერიერის სივრცე არაორდინალურადაა გადანწყვეტილი, სიმყუდროვე და სისადავე ყველგან ზედმინუნით ფიგურირებს და მომხმარებლისთვის კომფორტული გარემოა შექმნილი.

ნინო ლალიძე



COMFORTABLE ENVIRONMENT FOR USERS

AUTORS: Helen Tskvitinidze, Tinatin Janashvili. TH Studio

LOCATION: Tbilisi

AREA: 184.4 m²

Authors efficiently planned interior of NGS Group Company's in order to highlight an impressively large design exposition and retain the impression of open space. Exclusive accessories, created for the new exposition, fill the space, adding modern touches and increasing the feeling of comfort. Neat, interesting and stylish – this is the shortest way to describe office interior. Interior design conception is a truly original one. Scrappy accessories and furniture seem to have been put in this wood-and-metal place by mistake, but this only makes them more pleasant and simplicity. The designers achieved an ideal combination, highlighting the stylish atmosphere of the new space and a comfortable environment for the user is created.

NINO LAGHIDZE



კაფე ლაროუტი



ავტორი: ინა ბახტაძე
აღმგებელი: სოფელი ფანშეთი, სასაზღვრო ტერმინალის ტერიტორია, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი
ფართი: 40 კვ.მ



კაფე ლაროუტის ინტერიერის არქიტექტონიკა პლასტიკურად ვითარდება. ყოველი დიზაინერული ამოცანა კომპოზიციური ხერხითაა გადანწყვეტილი და კომპოზიციური პრინციპის შენარჩუნებით მოცულობის სტრუქტურა ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება. არაორდინალური არქიტექტურული ნიუანსებით შექმნილ სივრცეს, ცალკეული, განსაკუთრებული ხიბლის მატარებელ მონაკვეთთა ერთობლიობა ქმნის. ინტერიერის თავისებურება - დეტალებამდე გათვლილი სივრცის ფუნქციური ორგანიზებაა. მსუბუქი დეკორი შესაბამის განწყობას ქმნის. ამგვარად წარმოქმნილი ერთიანი საზოგადოებრივი ზონა აფართოვებს „მანევრირების სივრცეს“ და მოცემულ ფართობზე ფუნქციათა მაქსიმუმის კონცენტრირება ხდება შესაძლებელი.

ინა ბახტაძე
ფოტო: რაფო არზუმანოვი



LA ROUTE CAFÉ

AUTHOR: Ina Bakhtadze
LOCATION: Village Pancheti, Border Terminal Area, Kazbegi Municipality, Georgia
AREA: 40 m²

The highly efficient design of interior of La Route cafe, based on precisely calculated laconic solutions, is original, aesthetic and function-specific. The construction conforms to a supreme compositional principle, integrating diverse forms into a flexible structure.

The interior space is surprisingly well-organized. Unusual and light decor helps create a relevant atmosphere. The unified, unbroken public zone leaves a lot of space for maneuvering and allows for maximal concentration of functions.

NINO LAGHIDZE
Foto By: Rapho Arzumanov



სივრცის ორგანიზება

საცხოვრებელი ბინა ახალი კორპუსის მე-10 სართულზე, არაჩვეულებრივი ოჯახისთვის

ავტორი: მაია მესხი. Maia Meskhi's Design Studio (არქიტექტურა, დიზაინი, მშენებლობა, რემონტი)

ადგილმდებარეობა: თბილისი, საბურთალო, სულხან ცინცაძის ქ. ფართი: 160 მ²



ყოველი ახალი ინტერიერის შექმნისას, დიზაინერი მაია მესხი განსაზღვრული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს. ეს არის გეგმარების გადანყვევის სისუფთავე, სტილი, ჰაერი და „სინყნარე“. მისთვის თითოეული, მეტად აუცილებელია საცხოვრებელი სივრცისთვის. ავტორი მიზანს საქმისადმი პროფესიული მიდგომით - მოქნილი გეგმარების შემუშავებით და დეტალურ ბისადმი ყურადღების აქცენტირებით აღწევს, რაც მინიმალისტური ინტერიერისთვის მეტად მნიშვნელოვანია. საცხოვრებელ სივრცეში დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი ერთობლიობა ინტერიერში უნონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება.

ნიმო ლალიძე



SPACE PLANNING

Living apartment on the 10th floor of the new building, for the unusual family
Author: Maia Meskhi. Maia Meskhi's Design Studio (Architecture, design, construction, renovation)
Location: Sulkhvan Tsintsadze street, Saburtalo, Tbilisi
Area: 160 m²

There are several criteria by which designer Maia Meskhi guided, when tackling the job. This purity of solutions, style, air, and „silence.“ All of these qualities, in architect opinion, are necessary to any residential space. She wants them to be achieved through competent, professional planning and attention to detail that is important for a minimalist interior at least for the classic“ Correct space organization, harmony of colors and materials, skillful finishing, interesting interior design and well-chosen furniture, tasteful accessories alongside with clear identity and style, conforming the functional meaning of the space - such are attributes, describing a successful designer solution.



კომპოზიციური ნიუანსები

საცხოვრებელი ინტერიერი
ადგილმდებარეობა: თბილისი, ლისი ვერანდა
ავტორი: ნინო მშველიძე



საცხოვრებლის ინდივიდუალურობას განასაზღვრავს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები - საცხოვრებელ გარემოში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. თავისუფალ, ღია სივრცეში შესაბამისადაა შერჩეული ავეჯი, აქსესუარები, დეკორატიული ელემენტები. ინტერიერის სტილისტური გადანწყვეტისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ფერია. მისი გრადაცია სიმყუდროვეს განაპირობებს, ნებისმიერ საგანს ოპტიმალურ ფონს აძლევს და მის მოხაზულობას აკონკრეტებს. საცხოვრებლის ხასიათი განათების საშუალებითაც ფორმირდება. ფერთან ხელოვნური განათების შერწყმით სხვადასხვა „მოცულობები“ იქმნება და სივრცის კომპოზიციური ნიუანსები წინა პლანზეა წამოწეული. აქ ყურადღებას თითოეული დეტალი იპყრობს. ინტერიერის შემადგენელი ყოველი ნაწილი ინდივიდუალური და თავისთავად ეფექტურია. სხვადასხვა რაკურსში განხილვისას, მათი ლავირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საგანთა უტილიტარულ დანიშნულებებს აღემატება.

ნინო ლალიძე



COMPOSITE NUANCES


Residential Interior

LOCATION: Lisi Veranda, Tbilisi

AUTHOR: Nino Mshvelidze

Design of this interior is unordinary and comfortable. Originality of the apartment is highlighted by highly individual features – unexpected design touches, making the environment more uninhibited and comfortable, matching furniture, accessories and decorative articles. Most important elements in the stylistic solution of the interior are color and lighting. Their gradations help define the character of house, provide an efficient background and highlight the shapes of any object, subtly bringing to the fore compositional peculiarities of the space. Every part of the interior is original and attractive. When viewed from different angles, the components of the design gain special importance and exceed their utilitarian meaning.

NINO LAGHIDZE



სტუდიოს ტიპის ბინა

ნარმოდგენილი ინტერიერის ავტორი დიზაინერი რუსუდან თუმანიშვილი (ვოლ დიზაინ სტუდიო) გახლავთ. მან, სახლის მფლობელის გემოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით, საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტონიკური გრაფიკით, ფურნიტურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერითი კონტრასტებით, თანამედროვე ინტერიერი შექმნა. სტუდიოს ტიპის ბინა, საერთო ფართობით - 90 მ², ვერეს ხეობას გადაყურებს და კომპანია „რედკოს“ მიერ აშენებულ საცხოვრებელ კომპლექსშია განთავსებული.

ფოტოგრაფი ლევან ქაშიბაძე.



STUDIO TYPE APARTMENT

AUTHOR: Rusudan Tumanishvili
LOCATION: Near Vera Gorge, in Tbilisi
TOTAL AREA: 90 m²

House owners, giving preference to this or that particular design style, actually choose an atmosphere, in which they will exist for a certain amount of time and which will have its influence on their lives. The author of this interior of studio type apartment is designer Rusudan Tumanishvili (The WALL design studio). Considering the taste and expectations of the residence owner, She created a refined modern interior space with clear architectural graphics, original furniture and skillful color contrasts. The apartment is located in the residential complex built by the company Red-co, with view of Vera Gorge.

Photo by: Levan Kashibadze



ექსკლუზიური გარემო



არქიტექტორ ხათუნა მიქაბერიძის პროექტით შესრულებული საცხოვრებელი.

ბინის ინტერიერის გამომხატველობას, მისი განუმეორებლობა განსაზღვრავს. მასალისა და ფორმის ლაკონურობა, ორიგინალური დიზაინი და კომპოზიციური გრაფიკა, სივრცეს ვიზუალურ ჟღერადობას მატებს. ინტერიერზე მუშაობისას, ძირითადი კონსტრუქციის „გამჭვირვალობიდან“ გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მუდამ მთლიან სივრცეში ვიმყოფებით და არა მის რომელიმე ნაწილში. ფორმასთან, ფაქტურასთან, ფერთან დამოკიდებულება, არქიტექტორის პროფესიონალიზმს, გემოვნებას, შემოქმედებით პრინციპებს გამოავლენს და არაორდინალურია. მის მიერ შექმნილი თემატური სცენარით შთაბეჭედავი

გარემო წარმოიქმნა, რომლის კოლორიტი ცალკეული „მოდულური“ ელემენტებით,

ტონალობათა ლავირებითაა შექმნილი. მთლიანობაში კი ავტორის ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნას ექსკლუზიური გარემო - მშვიდი, ესთეტიკური ყოფისა და კომფორტის გარანტი - კონკრეტული ოჯახისათვის.

ნინო ლაღიძე
ფოტო: ლევან დოლიძე



CREATING ENVIRONMENTS



This residential interior in Pekini str., in Tbilisi designed by architect Khatuna Mikaberidze. Due to „transparency„ of general composition, each of their designs leaves an impression of integrity which cannot be broken down into separate spaces. Classiced distribution and diversity of geometrical forms, reserved use of carefully picked and matched details, impressive compositional

pattern reveal the designers taste, professionalism and creative principles.

Khatuna Mikaberidze is masterful in creating environments which evoke comfort and peace-personalized living spaces where both repose and work are equally pleasant.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: LEVAN DOLIDZE



ტრადიციული რენვის და დიზაინის თბილისის II საერთაშორისო სამიტი „ეთნოფესტი 2018“ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით 28, 29 და 30 სექტემბერს, „ექსპო ჯორჯია“-ს საგამოფენო სივრცეში გაიმართა. სამიტიში მონაწილეობდა 150-მდე ოსტატი, დიზაინერი და მენარმე საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.

სამიტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო „ანარმოე საქართველოში“, თბილისის სამხატვრო აკადემია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, აჭარის განათლების და კულტურის სამინისტრო, რუსთავის მუნიციპალიტეტი, გორის მუნიციპალიტეტი, აშშ-ს საელჩო საქართველოში და ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში.

ტრადიციული რენვის და დიზაინის თბილისის საერთაშორისო სამიტი „ეთნოფესტი“ საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროს - ტრადი-

ციული რენვის განვითარებას და საერთაშორისო დონეზე მის ინტეგრაციას ემსახურება.

სამიტი, რომელიც აერთიანებს ექსპოს, ტრენინგებს, პრეზენტაციებს, საჯარო ლექციებს და ბიზნეს შეხვედრებს, ტრადიციული რენვის სფეროში სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთ ფართომასშტაბიან ღონისძიებას წარმოადგენს. იგი თავს უყრის დიზაინერებს, მენარმეებს, ექსპერტებს, საერთაშორისო და ადგილობრივ მყიდველებს, დარგის სპეციალისტებს, ბიზნესის წარმომადგენლებს და ქმნის დარგის ეკონომიკური მდგრადობის, ადგილობრივი ბაზრის განვითარების, საერთაშორისო ბაზარზე ქართული ნაწარმის ცნობადობის გაზრდის, პროდუქციის მარკეტინგის და მწარმოებლების ინტეგრაციის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სფეროში ჩართული ინსტიტუციების თუ კერძო პირების დასაქმებას და შემოსავლების ზრდას; ქმნის თანამშრომლობის ახალ საერთაშორისო პლატფორმას, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს წარდგინონ საქართველოს ექსპერტების, მყიდველების და ფართო საზოგადოების წინაშე.

„ეთნოფესტი“-ს იდეა ტრადიციული რენვის ხელშეწყობის მიმართულებით ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მრავალწლიანი მუშაობის ლოგიკური შედეგი იყო. პროექტი წელს მეორედ განხორციელდა და მისი ძირითადი მიზანი იყო - ტრადიციული რენვის ადგილობრივი პროდუქციის გამრავალფეროვნება, კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ქართველ ოსტატთა და მენარმეთა ხელშეწყობა საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის „ეთნოფესტი“ გამოირჩეოდა პირველი, 2016 წელს ჩატარებული ღონისძიებისაგან როგორც მონაწილეთა სიმრავლით, ასევე წარმოდგენილი პროდუქციის მრავალფეროვნებითა და მაღალი ხარისხით.



„ეთნოფესტი“ ხელნაკეთი ნივთებისა და დიზაინის ყველაზე მასშტაბური გამოფენა რეგიონში და გაყიდვების გარდა ის მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კომპონენტსაც მოიცავს: ადგილობრივი პროდუქციის განსავითარებლად, ოსტატების პროფესიული და მარკეტინგული უნარების გასაუმჯობესებლად, მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებისა და დარგის თანამედროვე ტენდენციების გასაცნობად ხალხური რენვის საერთაშორისო ექსპერტები სამი დღის მანძილზე უძღვებოდნენ საჯარო პრეზენტაციებს, მასტერკლასებსა და ვორქშოპებს და ინდივიდუალურ კონსულტაციებს სთავაზობდნენ ქართველ ოსტატებს. სამიტის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ საერთაშორისო დონის ისეთი წარმატებული დიზაინერების და ექსპერტების ლექციებს და მასტერკლასებს, როგორებიც არიან - ლინდა გროსი, დიზაინერი, ეკო-მოდის პიონერი და მსოფლიოში ცნობილი ბრენდების - ESPRIT, Gap Inc, Levi Strauss-ის ეკო-კოლექციების თანადამფუძნებელი (აშშ); ირენე ვერმეულენი, ტრადიციული რენვის დიზაინის მარკეტოლოგი (ნიდერლანდები); კარენ გიბსი, ხალხური რენვის მარკეტინგის ექსპერტი (აშშ); ჯანინ აალფსი, საცალო ვაჭრობის სპეციალისტი (ნიდერლანდები); ანდრეი გეორგესკუ, მარკეტინგის სპეციალისტი (რუმინეთი); პალომა სუარესი, რენვის ტურიზმის სპეციალისტი (დიდი ბრიტანეთი).

ქართული რენვის ტრადიციული და თანამედროვე ტენდენციების ურთიერთმიმართების წარმოჩენის მიზნით, ღონისძიების პარალელურად მიმდინარეობდა სამი თემატური გამოფენა: „ტრადიციული რენვის ისტორიული ნიმუშები და თანამედროვე დიზაინი“, რომელიც მოიცავდა ექსპონატებს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან; „ქსოვილი საქართველოდან“ - სა-






ქართველოს ხელოვნების სასახლის პროექტი, რომელიც ქართული ტექსტილის ტრადიციას აცნობდა დამთვალიერებელს და „ეთნიკური ევოლუცია“ - ეროვნული ტანსაცმლის ნიმუშების კოლექცია ნაციონალური სამოსის სახლიდან.

„ეთნოფესტი“ დახურვის ცერემონიაზე გამოვლინდა „საუკეთესო სტენდის“ კონკურსში გამარჯვებული ტყაეის ხელნაკეთი აქსესუარების დიზაინერი ალექსანდრე გოცირიძე (Alexander Gotsi). მისი სტენდი გამორჩეული იყო როგორც ნაწარმის ხარისხით, ისე სტენდის დეკორაციით. ექსპერტების განსაკუთრებული შეფასება დაიმსახურა საწარმო „Alexander Gotsi“-ის წარმომადგენლების ეფექტურმა კომუნიკაციამ მომხმარებელთან, რაც გამარჯვებულის შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო.

„ეთნოფესტი“-ს ჩატარებამ გარკვეულწილად განაპირობა ქართული ტრადიციული რენვის ცნობადობის ამაღლება. სამიტის მონაწილეებისა და ფართო საზოგადოების მხრიდან გამოიკვეთა სურვილი, „ეთნოფესტი“ იქცეს ტრადიციულ ყოველწლიურ ფესტივალად. სამიტის შედეგებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ხელნაკეთი ნივთების უძველესი ტრადიციები, პოტენციალი და პერსპექტივები და ასევე, ცხადყო ტრადიციული რენვის როლი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალური განვითარებაში.

მარიტა სახლთხუციშვილი,
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი



ბალები

ბალი კულტურის თავისებური ფენომენია. მის სემანტიკურ პროგრამაში თავს იყრის ფილოსოფიურ - რელიგიური და ესთეტიკური კონცეფციები. თანამედროვე ადამიანისთვის ბალის გაშენება მისი პერსონალური სივრცის გაფართოების, ურბანული გარემოდან გაქცევის, ორგანიზებული და იდეალური ადგილის მოძიების ან შექმნის გზაა. ბალის გაშენების სურვილი მის არქექტიპულ მოდელთან მიახლოების და ამ ტოპოსის მითოლოგიურ - რელიგიური თუ ფილოსოფიური კონტექსტით ინტერპრეტაციის ცდაა.

ეს თემა, ხელოვნების არსებობის მანძილზე, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ბალის პროგრამა და ესთეტიკა ეპოქისა და ადგილმდებარეობის მიხედვით იცვლებოდა. შუასაუკუნეებში ბალი ნიშნების, ინდექსებისა და სიმბოლოების მონესრიგებულ სისტემას წარმოადგენდა, რომელიც წიგნით საკითხავი იყო და ამიტომ ბალი ხშირად წიგნთან იყო გაიგივებული; წიგნებს უწოდებდნენ „ბალებს“, „ლიმონარიუმებს“, ხოლო მწერლები მეზალებად მოიხსენიებოდნენ, რომლებიც „ასოების და სიტყვების ბალებს ჰქმნიდნენ“. სწორედ ბალი წარმოადგენდა უნივერსუმის მიკროსქემას, სამყაროს სანყისის და სამოთხის იდენტურ და ხილულ სიმბოლოს და ბალის გაშენება და მასში ყოფნის სურვილი დაკარგულ სამოთხეში დაბრუნების მცდელობად აღიქმებოდა.

ამიტომ ბალის გაშენება მსოფლმხედველობითი, კულტურული და ესთეტიკური მოდელის დანერგვაა და თუ აღარ გვაქვს ბალების გაშენების ადგილი და სურვილი, მაშინ ვკარგავთ სამყაროში ჰარმონიულად არსებობის ილუზიას, რადგან ირღვევა პროპორციულობა ადამიანი/ბუნების შესაბამისობის თვალსაზრისით, რასაც საბოლოოდ ეკოლოგიური პრობლემები და კულტურული შოკი მოჰყვება.

გავაშენოთ ბალი გალერეის „ტერიტორიაზე“!

ჩვენი გალერეის პროექტი გულისხმობს ბალების პერსონალური მოდელის შექმნას, სადაც „მეზალებს“, შუასაუკუნეების მწერლების მსგავსად, მხატვრები წარმოადგენენ.

პირველი ბალი ანტონ ბალანჩივაძემ „გააშენა“.

მხატვარი ბალის ვიზუალიზაციისათვის ტრადიციულ მითოლოგიას იყენებს: ლანდშაფტურ მოდელს - მინა/ცა/არსების - ტრიალით, ზღაპრის მისტიკის ფორმატით და



ანტონ ბალანჩივაძე



მდინარესთან აღმოსავლეთის. ტილო, შერეული ტექნიკა.
By the river of east. Mixed media on canvas.
170x129cm.2016-2018



აღმოსავლეთის მხედარი. გამოჩენა. ტილო, შერეული ტექნიკა.
Rider of the East. Appearing. Mixed media on canvas.
117x170cm.2017

ტოტემის არაიერარქიული პროგრამით, რომელიც ყველა არსების თანაბარუფლებიანობას და კავშირს მოიაზრებს. ჯადოსნურ ბალებს გვთავაზობს, როცა ტყე საიდუმლოებით არის მოცული, ხეები და მცენარეები კოსმოგონიური სტრუქტურის სიმბოლოა, ადამიანები და ცხოველები კი ჰერალდიკური ან ნარატიული სცენარით მოქმედებენ. მხატვრისთვის ბალი იმ სამყაროს სქემაა, რომლის უპირატესობას აღიარებს: მისტიკის ელფერიტ გამსჭვალული ჰარმონიულობა აერთიანებს მინას, ცას, მცენარეებს, ვარსკვლავებსა და მნათობებს, ცხოველებსა და ადამიანებს. სამყაროს ჰარმონიზაციის ეს ჰუმანისტური პოზიცია, ბალის ხატი არის გადმოცემული ან ბალის ელემენტებით შექმნილი. მხატვარი მიჰყვება თემის განვითარებას, თითქოს ბალის სიღრმეში შედის, მის დაფარულ და უხილავ სიღრმეებს წვდება, სიჩუმეს უსმენს... და რეალისტურ კომპოზიციებს აბსტრაქციით ანაცვლებს, სადაც ბალის მოტივი მხოლოდ მინიშნებულია. რეალობის აბსტრაქციაზე გაცვლის პროცესი მხატვარს თავისუფალი ოპერირების საშუალებას აძლევს, იმისთვის, რომ ბალის ცნება სიმბოლოდ გარდაქმნას, რაციონალური მიდგომა ირაციონალურ და ემოციურ პრეზენტაციად აქციოს, კონკრეტული თემა კი უნივერსალურ ფასეულობად.

ბაია ნიქორიძე



GARDENS



A garden is a specific cultural phenomenon. Its semantical programme comprises philosophic-religious and esthetical concepts. For a modern man growing a garden is an attempt to expand his personal space, escape urban environment, find or create a structured and ideal place, connect with the world's archetype and interpret the mythological-religious or philosophical context of this topos.

In art this topic has always been important. The programme and esthetics of a garden changed across time and place. In medieval centuries a garden was an organized system of signs, indexes and symbols which was like a reading book. Thus, a garden was often equaled to a book; books were called „gardens,“ „limonaria,“ whereas writers were referred to as gardeners which „created gardens of letters and words.“ The garden represented a micro scheme of the universe and identical and visible symbol of Paradise. Growing a garden and the desire to be there was perceived as an attempt to return to the paradise lost.

Therefore, growing a garden is introduction of vision, cultural and esthetic model; if we don't have a place or desire to grow a garden, then we lose a hope of harmonious existence in the world, because the consistency ratio between the man and the nature is broken, which eventually leads to ecological problems and psychosocial and cultural shock.

Let's grow a garden within the gallery!

The project of our gallery envisages creating personal models of gardens, where artists, like medieval writers, represent the „gardeners.“

The first garden is „grown“ by Anton Balanchivadze.

For visualization of the garden the artist resorts to a traditional mythologem: a landscape model with a triad of the earth, the sky and a creature, using a form of a fairy tale mystery and non-hierarchichal programme of totem, which implies equality and unuin of all creatures. He offers us magic gardens where forests are covered with mystery, trees and plants are a symbol of cosmogonous structure, and people and animals act according to a heraldic or narrative scenario. The artist sees the garden as a structure of the world that he deems superior: the harmony permeated with the tint of mystery unites the earth, the sky, plants, animals and human beings. The artist's programme that reflects a humanistic viepoint of the existence of the world is expressed by an image of the garden or created by the elements of the garden. He substitutes realistic compositions with abstractions where the motive of the garden is just indicated. Replacing the reality with abstraction allows the artist the freedom of action to turn the concept of a garden into a symbol where a rational approach turns into an irrational and emotional presentation and the specific topic into a universal value.

BAIA TSIKORIDZE



სინჰარაჯა. ანდროზაკი.
ტილო, შერეული ტექნიკა.
Sinharaja. Androzak.
Mixed media on canvas.
100x70cm.2016



დროთა მიჯნაზე. ბალი. გახსენება.
ტილო, შერეული ტექნიკა.
On a threshold of times. Garden.
Memory.
Mixed media on canvas.
165x208cm. 2017-2018

დინასტიები. პარალელური პერსპექტივები



გოეთეს ინსტიტუტმა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით წარმოადგინა გერმანია-საქართველოს 200 წლის ურთიერთობებთან დაკავშირებული პროექტი - გამოფენა „დინასტიები. პარალელური პერსპექტივები“.

„ვაშენებ რისაც მჯერა“
დომინიკუს ბიომ

გამოფენა გაიხსნა 2018 წლის 27 ივნისს, თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა)
ხანგრძლივობა: 27.06. - 10.09.2018
გამოფენის ავტორი და კურატორი გახლდათ ირინა კურტიშვილი, კიოლნი

გამოფენა წარმოადგენდა ორი განსხვავებული არქიტექტურული ოჯახის: კიოლნელი არქიტექტორების - ბიომებისა და საქართველოში მოღვაწე ქურდიანების არქიტექტურულ დინასტიებს, რომელთა შენობების ისტორიულ-კულტურული ფასეულობა სრულად შესწავლილი არ არის. გამოფენამ მიმოიხილა გენიალური არქიტექტორების შემოქმედებითი ისტორია; ფოკუსში მოქცეული იყო ის ცხოვრებისეული პარალელები და თანკვეთები, რაც მათ თავდაუზოგავ შრომაში, ასევე თავიანთი პროფესიის, ქალაქისა და ქვეყნის მიმართ პასუხისმგებლობაში გამოიხატა.

საკრალური და სამთავრობო, სპორტულ-საზოგადოებრივი, საცხოვრებელი და კულტურულ-საგანმანათლებლო არქიტექტურის ნიმუშები... ეს შენობები დღეს როგორც

გერმანიაში, ასევე საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ნაგებობებია და ქვეყნის იერსახის, მისი იდენტობის განუყრელი ნაწილია. ამ შენობათა მაგალითზე წარმოდგენილი იქნა ყველა ის ეპოქა, რომელიც ორმა ქვეყანამ და თითოეულმა ოჯახმა პარალელურად, თუმცა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვლო. ბიომების არქიტექტურული მემკვიდრეობა მრავალჯერაა შესწავლილი და აღნიშნული. ოჯახის უხუცესი, გოტფრიდ ბიომი, დღეს 98 წლისაა. იგი ერთადერთი გერმანელი არქიტექტორია, რომელიც უმაღლეს არქიტექტურულ ფილდოს - „პრიცკერის პრემიას“ ფლობს.

არქიტექტურულ ფოტოგრაფიასთან ერთად მაყურებელს შეეძლო ეხილა კონკრეტული ისტორიული მოვლენის კონტექსტში საოჯახო საარქივო და საავტორო ფოტომასალაც.

გამოფენაზე წარმოდგენილი არქიტექტორები: დომინიკუს ბიომ (1880-1955), გოტფრიდ ბიომ, ელიზაბეტ ბიომ (1921-2012), შტეფან ბიომ, პეტერ ბიომ, პაულ ბიომ, გრიგოლ ქურდიანი (1873-1957), არჩილ ქურდიანი (1903-1988), ქეთევან სოკოლოვა-ფორაქიშვილი (1905-1988), გაია ქურდიანი (1932-2014), არჩილ ქურდიანი, გიორგი ქურდიანი გამოფენის თანმხლები პროგრამა: არნე შმიტის მოხსენება "მოგზაურობა ისტორიულ კიოლნში"; ია შტეფან ბიომთან, პეტერ ბიომთან და პაულ ბიომთან; დოკუმენტური ფილმი: „დინამოს“ სტადიონის მშენებლობაზე; ქართული არქიტექტურის ქურდიანების ოჯახზე - ნარსულზე, დღევანდლობასა და მომავალზე; ბიომების არქიტექტურულ დინასტიაზე.

THE DYNASTIES – PARALLEL PERSPECTIVE



The Goethe Institute, with the support of the Georgian National Museum, in connection with 200 years of relations between Germany and Georgia presented a project - The Dynasties _ Parallel Perspective.

„I build what I believe in“
Dominikus Böhm

Exhibition opened: on June 27, 2018 in National Museum of Georgia; Tbilisi History Museum (Karvasla).

Exhibition lasted till September 10, 2018

The Author and Curator of the Exhibition was Irina Kurtishvili, Cologne

The exhibition featured almost century-long historic-cultural and, in particular, architectural legacy that has been created and developed in parallel in Germany and Georgia, representing two different architectural family dynasties - the Böhms and the Kurdianis - creating in Germany and Georgia respectively. The exhibition gave an overview of their creative history, emphasizing on parallelism in life.

Secular, public, sporting, residential, cultural, educational architectural objects - all these buildings are still functional both in Germany and Georgia and represent an integral element

of their countries' identity. The display represents all epochs through which both countries and each of the families lived and created in parallel, though individually. The Böhms' architectural legacy has been repeatedly surveyed and acknowledged. The elderly member of the family, Gottfried Böhm is 98 years old today. He is the only German architect awarded the highest architectural prize – the Pritzker prize. Was presented exhibits and photos from the family archives associated with specific historic context, documentaries featuring their creative life and key architectural projects created by the Bioms and the Kurdianis. The audience was an opportunity to see compilation of photos by Harun Farocki (1944-2014) titled „Stalin's Museum in Gori“ that exhibited in Georgia, Karvasla Hall for the second time. In his photos, Faruk underscored the importance of contexts created by ideologies and/or political regimes, or even contemporary forms of powers in the universe, under the disguise and veil of culture.

Architects presented at the exhibition:

Dominikus Böhm (1880-1955); Gottfried Böhm, Elizabeth Böhm (1921-2012), Stephan Böhm, Peter Böhm, Paul Böhm, Grigol Kurdiani (1873 – 1957); Archil Kurdiani (1903-1988), Ketevan Sokolova-Porakishvili (1905-1988), Gia Kurdiani (1932-2014), Archil Kurdiani, Giorgi Kurdiani



**ინტერვიუ რადიო ჰოლდინგ „ფორტუნას“
ბენარალურ დირექტორთან ქალბატონ
თამარ ჩიბობიძესთან
„ოქროს ტალღა 2018“-ის შესახებ**



– ის, რითიც ყველაზე მეტად ამაყობთ

– ამ კომპონენტში ბევრი რამის გაერთიანება შეიძლება. ჩვენ გამუდმებით ვმუშაობთ იმაზე, რომ ჩვენი კომპანია ფეხდაფეხ მიჰყვეს თანამედროვე გამოწვევებს და უპასუხოს სტანდარტს, რომელსაც მსოფლიო მაუნ-ყებლობის ფორმატი ითხოვს. იქამდე, სანამ ვიამაყებთ კონკრეტული პროექტებით, არის ძალიან დიდი გზა, მუშაობის, სწავლის, ფიქრის, იდეების გაანალიზების, სირთულეების გადალახვისა და გუნდური მუშაობის. ის, რაც წლებია აერთიანებს ჩვენს გუნდს, სწორედ ამ პრინციპების ერთგულებაა. შედეგს კი ყოველწლიურად ვხედავთ. მზარდი რეიტინგი და ხალხის დიდი სიყვარული, რომელსაც ბოლო დროს ჩატარებული ყველა მასშტაბური კვლევა ადასტურებს. ჩვენ ვიცით, რომ არასოდეს უნდა გავჩერდეთ ერთ კონკრეტულ საქმეზე, შესაბამისად, მუდამ ვანვითარებთ სხვადასხვა მიმართულებებს, რადიო ბაზრიდან დაწყებული, მსოფლიო სტანდარტის

ვებ-პლატფორმის შექმნით დასრულებული. ამიტომ კითხვაზე, რითი ვამაყობ, ჩემი პასუხი ვრცელი იქნება, შევეცდები მოკლედ გითხრათ. ვამაყობ ჩემი გუნდით, ჩემი რადიოსადგურების თითოეული თანამშრომლის პროფესიონალიზმით, ჩვენი ოპერატიული საინფორმაციო სამსახურით, ვებ-პლატფორმით, რომელმაც ბოლო პერიოდში უპრეცედენტოდ მაღალი რეიტინგი დადო. ვამაყობ ჩემი მარკეტინგის სამსახურით, რომლის მუშაობის სტანდარტი გაყიდვების სფეროში ძალიან მაღალია. ძალიან მიხარია, რომ ჩვენი გუნდი მომავალ წელს უკვე მეექვსედ ჩაატარებს წლის მთავარ მუსიკალურ ღონისძიებას, „ოქროს ტალღას“, რომელიც ქართული შოუ-ბიზნესისთვის ახალი სტიმული გახდა ბევრი კარგი და ხარისხიანი პროდუქტის შექმნის გზაზე. ძალიან ვამაყობ ჩვენი ტრენინგ-ცენტრით, „ფორტუნა აკადემია“. ცალკე აღნიშვნის ღირსია ყველა ის მასშტაბური პროექტი, რომელსაც ჩვენი ჰოლდინგი და მასში შემავალი რადიოსადგურები უდგას გვერდში. ამ ყველაფრით ძალიან ვამაყობ და მიხარია, რომ წინსვლა და პროგრესი დღემდე ჩვენი კომპანიის ძლიერი მხარეა.

– ვებ-პლატფორმის შესახებ

– მიმდინარე წელს „ფორტუნა“ უპრეცედენტო მასშტაბის ვებ-პლატფორმას შესთავაზებს საზოგადოებას, რომელიც ოთხ სხვადასხვა ფორმატის საიტს გააერთიანებს და მომხმარებლებს უწყვეტ რეჟიმში მიაწვდის საჭირო ინფორმაციას. ამას კი წინ უძღოდა მსოფლიო სტანდარტის მულტიმედია ნიუსრუმის შექმნა, რომელმაც ტელე-რადიო, ინტერნეტ სივრცის ერთი ფანჯრის პრინციპით გაერთიანება შეძლო. ჩვენს მიერ შექმნილი მულტიმედიაური პროდუქტები განსაკუთრებულად საინტერესოა სოციალურ მედიაში. „ფორტუნას“ პლატფორმა ერთადერთია ქვეყანაში, რომელიც უცხოელი და ქართველი მუსიკოსების, მათი დისკოგრაფიებსა და ტურნეების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას სულ მალე მიაწვდის მსმენელს. ალბათ დაგაინტერესებთ, რატომ გახდა აუცილებელი ამ პლატფორმის შექმნა რადიოსადგურისთვის. როგორც აღვნიშნე, სიახლეები ჩვენი ყოველდღიური გამოწვევაა. ჩვენი ამოცანაა, მაქსიმალურად სწრაფად ვუპასუხოთ თანამედროვეობის ძირითად გამოწვევებს. ინტერნეტი კი სწორედ ამ გამოწვევის მთავარი საფეხურია.

– „ოქროს ტალღის“ შესახებ

– „ოქროს ტალღა“ წლის მთავარი მუსიკალური დაჯილდოებაა, რომელიც ყველა ჟანრის, ასაკისა და სტილის მუსიკოსს აერთიანებს, როგორც საქართველოში, ახლა უკვე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მარტივად რომ ავიხსნათ, ყველა სიმღერა, რომელიც რადიოების „ფორ-



ტუნა“, „ფორტუნა პლუსი“, „ავტორადიო“ და „არ დაიდარდო“ ერთში ხვდება, გადის ერთგვარ ტესტს. წლის ბოლოს ჩვენ ვარჩევთ ყველაზე მოთხოვნად და პოპულარულ სიმღერებს და მათ შორის საუკეთესოს სამი სხვადასხვა კრიტერიუმით ვავლენთ. ერთის მხრივ, ეს გახლავთ ხალხის არჩევანი, რაც ჩვენს საიტზე ხმის მიცემით იზომება. მეორე, ეს გახლავთ კომპეტენტური ჟიურის შეფასება და მესამე, ჩვენი რადიოს მუსიკალური ხელმძღვანელების მიერ შექმნილი შეფასების კრიტერიუმი, რომელიც ამ სტილის მსოფლიო მუსიკალური დაჯილდოვებების ანალოგია. ჩვენთვის ყველა არტისტი დასაფასებელი და საპატივცემულოა, ობიექტურობა ყველაზე მნიშვნელოვანი საზომია, ამიტომ ამ პროცესისთვის ფაქტობრივად, მთელი ერთი წელი ვემზადებით. „ოქროს ტალღა“ წელს მეექვსედ უმასპინძლებს სპეციალურ სტუმარს, წინა წელს ჩვენი საპატიო სტუმარი იყო ორი გრემის მფლობელი მუსიკოსი ლიზა ფიშერი. ის ფაქტი, რომ წლიდან წლამდე ჩვენს რადიოსადგურებში გაორმაგდა შემოსული სიმღერების რაოდენობა, ჩვენ გვარწმუნებს, რომ „ოქროს ტალღამ“ უკვე დაწერა ისტორია.

– ფორტუნა აკადემია

– ვთვლი, რომ განვითარების მთავარი მარკერი, ეს არის წინსვლა და სიხლეების მუდმივი ძიება. სამყარო ძალიან სწრაფად ვითარდება და ჩვენი ვალია, მივყვეთ მას ფეხდაფეხ. ეს კი ჩვენგან ბევრი სიახლის ათვისებას და მათ დაწერგვას მოითხოვს. ამიტომ „ფორტუნა აკადემია“ ეს არის ფანტასტიკური საშუალება პროფესიული და პიროვნული განვითარებისთვის. ცოტა ხნის წინ საქართველოში





ველოს „ფორტუნა აკადემიის“ მონვევით გრანდესკოს კოლეჯის პრეზიდენტი კორეი სიგვალდანსონი ესტუმრა. იგი პროგრამის „Hop Performance Leadership“ დამფუძნებელია. სიგვალდანსონმა საქართველოში ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „შეუძლიათ თუ არა საშუალო დონის მენეჯერებს გახდნენ მსოფლიო დონის მმართველები“. აღსანიშნავია, რომ მას ლიდერობის განვითარების კუთხით ათასობით ადამიანთან აქვს ნამუშევარი და ჩვენთვის ეს იყო უდიდესი გამოცდილება. ამ სახის ტრენინგებსა და ქოუჩინგს „ფორტუნა აკადემია“ ხშირად მასპინძლობს და ის ყველა სფეროს მოიცავს.

– **კომპანიის ჯილდოები და აღიარებები...**

– ჩემთვის ძალიან სასიხარულოა ის დაფასება და აღიარება, რაც დაუღალავი შრომის შედეგად მოდის. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენი საქმიანობა ასევე დააფასა. არ მინდა, რომელიმე გამომჩრეს, „ფორტუნას“ მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, მათ შორის, „ოქროს ფრთა“, „ქართული ბრენდის დღე 2017“, „ლიდერი ბრენდი“, „ბიზნესის ეროვნული ჯილდო“, „ტურიზმის ეროვნული ჯილდო“ და ა.შ. ყველაზე დიდი წარმატება კი ხალხის სიყვარულია. ამას კი ბოლო დროს ჩატარებული კვლევები ცხადყოფს. მარტში საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დაკვეთით რადიომაუწყებლობის განვითარების შესაძლებლობების მასშტაბური კვლევა ჩატარდა. კვლევის მიზანი გახლავთ საზოგადოების მოთხოვნისა და რადიო ბაზარზე დეფიციტის განსაზღვრა. კვლევა, რომლის მეთოდოლოგიის პროცესი მოიცავდა ორ ძირითად ეტაპს, აჩვენა, რომ ჩვენი რადიოსადგურები რეიტინგის უპირობო ლიდერები არიან. ეს ჩვენი თავდაუზოგავი შრომისა და განვითარების ნაწილია.

